საქართველოს
პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 399/1 — 3 მაისი, 2016 წელი

**საქართველოს კანონის პროექტები: „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „მოხალისეობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" (N07-3/567; 26.04.2016)**

*დასახელება*

| საქ. პრლამენტის წევრები: ე. ტრიპოლსკი, კ. კოპალიანი | საქ. პრლამენტის წევრები: ე. ტრიპოლსკი, კ. კოპალიანი |
|---|---|
| *ინიციატორი* | *ავტორი* |

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

*წამყვანი კომიტეტი*

| 26. 04. 2016. | წამყვან კომიტეტზე - 10.05.- 24.05.<br>სხვა კომიტეტებზე - 10.05. -17.05. | 11.05. - 27.05. |
|---|---|---|
| *შემოსვლის თარიღი* | *საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი* | *პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი* |

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

*კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა*

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — დავით უსუფაშვილი

საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№399/1

2016 წელი, 3 მაისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 146-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 147-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის (წამყვანი კომიტეტი) და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტებს განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების ერეკლე ტრიპოლსკისა და კარლო კოპალიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი (N07-3/567; 26.04.2016) და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი